2012 წლის მნიშვნელოვანი ობიექტების ჩამონათვალი

| N | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ხელშეკრულების № | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | მომსახურების გაწევის ვადები, დაწყება–დასრულება | მომსახურების დასახელება | სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 20.01.2012 SUTIP/C/QCBS-3 | **783300.00** | 20.01.2012–28.04.2012 | თბილისი–წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი–რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაცია კმ0+000–კმ4+000; კმ10+500–კმ17+100 | **90727300** |
| 2 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 18.02.2012 GOG/C/D/214-095-2012 | **165000.00** | 18.02.2012–13.03.2012 | ყვარლის მუნიციპალიტეტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყვარელი–ყვარლის ტბის საავტომობილო გზის კმ0+00–კმ2+240 მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურება | **7010990** |
| 3 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 19.03.2012 SUTIP/C/QCBS/06 | **746982.00** | 19.03.2012–30.08.2012 | საკონსულტაციო მომსახურება თბილისში მდინარე მტკვარზე ხიდის პროექტირებაზე | **80089553** |
| 4 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 13.02.2012 GOG/C/D/214-096-2012 | **166380.00** | 13.02.2012–30.06.2012 | ყვარლის მუნიციპალიტეტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყვარელში მდ. დურუჯზე საფეხმავლო ხიდის გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურება | **4733676** |
| 5 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 25.02.2012 GOG/C/D/77-097-2012 | **595600.00** | 25.02.2012–31.12.2012 | მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე არაგვზე ახალი ხიდის გადასასვლელის მშენებლობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა | **26716505** |
| 6 | ს/გზების დეპარტამენტი | 06.07.2010 EWHIP/CS/QCBS/-01 | **2024783** | 01.11.2011–10.10.2012 | ხელშეკ. # EWHIP/CS/QCBS/-01 ზესტაფონი–ქუთაისის ახალი შემოსავლელი გზის მშენებლობის დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება | **137900461** |
| 7 | ს/გზების დეპარტამენტი | 30.01.2012 ე-ტ #19-12 | **14962.40** | 27.02.2012–05.04.2012 | საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი–ფოთი–სარფის საავტომობილო გზის კმ41(0.150)–კმ43(0.800) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა | **642227** |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ს/გ ზების დეპარტამენტი | 30.01.2012 ე-ტ #19-12 | 77941.86 | 28.06.2012-10.07.2012 | შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზის კმ24+440-კმ29+365 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა | 3345144 |
| 9 | ს/გ ზების დეპარტამენტი | 30.01.2012 ე-ტ #19-12 | 139218.22 | 06.08.2012-25.09.2012 | შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წყალტუბო-ხონის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა | 6273783 |
| 10 | ს/გ ზების დეპარტამენტი | 30.01.2012 ე-ტ #19-12 | 78962.56 | 12.09.2012-31.01.2012 | შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს ს/გზის კმ14+073-კმ23+508 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა | 3558399 |
| | ჯამი | | 4793130 | | | 360998038 |

2011 წლის მნიშვნელოვანი ობიექტების ჩამონათვალი

| N | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ხელშეკრულების № | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | მომსახურების გაწევის ვადები, დაწყება-დასრულება | მომსახურების დასახელება | სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | ს/გზების დეპარტამენტი | 06.07.2010 EWHIP/CS/QCBS/-01 | **1952636.0** | 01.05.2011-25.10.2011 | ქუთაისის ახალი შემოსავლელი გზის მშენებლობის დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება | **128812877.0** |
| 2 | ს/გზების დეპარტამენტი | 06.07.2010 EWHIP/CS/QCBS/-01 | **1934356.0** | 06.07.2010-20.04.2011 | ქუთაისის ახალი შემოსავლელი გზა -სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობის დეტალური საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება | **126917644.0** |
| 3 | ს/გზების დეპარტამენტი | 17.06.2011 გ-ტ.#70-11 | **90000.0** | 17.06.2011-31.08.2011 | ქ. მესტიის შემოვლითი გზის მშენებლობის სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა | **4596650.0** |
| 4 | ს/გზების დეპარტამენტი | 03.06.2011 ადგ.რ.პრ.#6-11 | **68652.0** | 03.06.2011-31.08.2011 | ანაკლიის ტურისტულ ცენტრთან მისასვლელი საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა | **5586660.0** |
| | ჯამი | | **4 045 644.0** | | | **265 913 831.0** |

გენერალური დირექტორი: ტალი ტალიაშვილი

## 8. რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება: | შპს საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი "ტრანსპროექტი" |
| ხელმძღვანელის სახელი და გვარი: | ტალი ტალიაშვილი |
| პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: | ქ. თბილისი, თამარაშვილის 13. |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 204986195 |
| პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: | 577720776 |
| ელექტრონული მისამართი: | **transproject@caucasus.net** |
| ბანკის კოდი: | სს "ვი-თი-ბი" ბანკი, **UGEBGE22** |
| ანგარიშსწორების ანგარიში: | **GE81VT6600000044445555** |

გენერალური დირექტორი: ________ ტალი ტალიაშვილი

9. დანართი

- წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

*სახელმწიფო შესყიდვის შესახებ*

*შ.რ. საპრ. №2-12*

თბილისი 28.09.2012წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნუგზარ გასვიანის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთი მხრივ და შ.პ.ს. „ტრანსპროექტი", მისი გენერალური დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[I] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 სექტემბრის №1795 განკარგულებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის სათათბირო ორგანოს – კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის სხდომის №34 ოქმის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

***მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი***

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)–ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო–ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის დეტალური პროექტირების მომსახურების განხორციელება **(CPV 71320000)** – შემდგომში მომსახურება.

***მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი***

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს 1 864 406.78 (ერთი მილიონ რვაასსამოცდაოთხი ათას ოთხასექვსი ლარი და 78 თეთრი) ლარს, მათ შორის.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით შეადგენს 2 200 000.00 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარს.

2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშ-ფაქტურა მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

2.5. დასაბუთებული აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.6. მიუხედავად შესაბამისი წერილობითი დასაბუთებისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.7. შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გაცემული ავანსის დაქვითვამდე.

2.8. მიმწოდებელზე გასაცემი საავნსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ეტაპობრივად, ყოველი გადახდის პროპორციულად. გადახდის ეტაპობრიობა განისაზღვრება ტექნიკური დავალებით, რომელიც შეადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.9. შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.8. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.10. ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

*მუხლი 3. გასაწევი მომსახურების შესაბამისობა*

3.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელ ნაწილს შეადგენს (დანართი 1).

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

*მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი*

4.1. შემსყიდველი მომსახურების მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

4.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

4.3. ამ ხელშეკრულების ძალით გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულების გაფორმებიდან **ერთი კვირის** ვადაში შემსყიდველს წარმოუდგინოს ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია, საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **3% ოდენობით**, გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვასდას;

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

დ) მომსახურების გასაწევად მიმწოდებელი უფლებამოსილია მოიწვიოს ქვეკონტრაქტორები, მხოლოდ შემსყიდველის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ;

ე) ანგარიშსწორებისას ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;

ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს 28.09.12-01.08.13წ. ვადებში;

ვ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ობიექტის ჩაბარების ვადები განსაზღვროს მიმწოდებელთან შეთანხმებით;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

ნ.

*მუხლი 7. პასუხისმგებლობა*

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისათანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით მომსახურების მთლიანი ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყონებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

*მუხლი 8. ინსპექტირება*

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო.

8.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

*მუხლი 9. სხვა პირობები*

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის პირველ სექტემბრამდე.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

9.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები*

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №200 122 900, ბ/კ TRESGE 22.

ხელმოწერა ______________ ნუგზარ გასვიანი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „ტრანსპროექტი", მის. საქართველო, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.№13 ს/კ 204 986 195, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბ/კ: BAGAGE22, ა/ა №GE 83 BG 000 000 020 551 3701.

ხელმოწერა ______________ ტალი ტალიაშვილი

ბ.ა.

ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ
შ.რ. საპ. №2-12

# საკვლევაძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ანგარიშის მიღება-ჩაბარების

## ა ქ ტ ი № 77 - 1

შედგენილია 28.01.2013წ.
ქ. თბილისი

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე საკვლევაძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ანგარიში.

ერთის მხრივ, მიმწოდებლის წარმომადგენელი შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ „ტრანსპროექტის" გენერალური დირექტორი ტ. ტალიაშვილი და მეორეს მხრივ, შემსყიდველის წარმომადგენელი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი ო. ხატიაშვილი ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს და ტექნიკური დავალების ნორმატიულ დოკუმენტებს.

საპროექტო პროდუქციის შემადგენლობა:

- საკვლევაძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (სახელშეკრულებო თანხის 30%) – სრული მოცულობით

| | | |
|---|---|---|
| ხელშეკრულების თანახმად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს: | 660 000.00 | (ექვსას სამოცი ათასი) ლარი |
| მათ შორის: | | |
| დ.ღ.გ. 18% | 100 677.97 | (ასი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) |
| მიღებული ავანსიდან დასაკავებელი თანხა შეადგენს | 300 000.00 | (სამასი ათასი) ლარი |

| | | |
|---|---|---|
| აღნიშნული აქტის თანახმად<br>28 იანვრისთვის<br>შესრულებულ სამუშაოებზე<br>ანაზღაურებას ექვემდებარება: | 360 000.00 | (სამას სამოცი ათასი) ლარი |
| მათ შორის: | | |
| დ.ღ.გ. 18% | 54 915.25 | (ორმოცდათოთხმეტი ათას ცხრაას თხუთმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) |

| | |
|---|---|
| სამუშაოები ჩააბარა | სამუშაოები მიიღო |
| მიმწოდებელი | შემსყიდველი |
| შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ "ტრანსპროექტის" გენერალური დირექტორი | საქ. საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი |
| ტ. ტალიაშვილი | ო. ხატიაშვილი |

"TRANSPROJECT" LTD შპს "ტრანსპროექტი" ООО "ТРАНСПРОЕКТ" 204986195

ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ
შ.რ. საპ. №2-12

# შუალედური ანგარიშის
# მიღება-ჩაბარების

## ა ქ ტ ი № 77 - 2

შედგენილია 28.02.2013წ.
ქ. თბილისი

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

ერთის მხრივ, მიმწოდებლის წარმომადგენელი შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ „ტრანსპროექტის" გენერალური დირექტორი ტ. ტალიაშვილი და მეორეს მხრივ, შემსყიდველის წარმომადგენელი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი ო. ხატიაშვილი ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს და ტექნიკური დავალების ნორმატიულ დოკუმენტებს.

საპროექტო პროდუქციის შემადგენლობა:

- შუალედური ანგარიში (სახელშეკრულებო თანხის 30%)

| | | |
|---|---|---|
| ხელშეკრულების თანახმად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს: | 660 000.00 | (ექვსას სამოცი ათასი) ლარი |
| მათ შორის: | | |
| დ.ღ.გ. 18% | 100 677.97 | (ასი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) |
| მიღებული ავანსიდან დასაკავებელი თანხა შეადგენს | 300 000.00 | (სამასი ათასი) ლარი |

| | | |
|---|---|---|
| აღნიშნული აქტის თანახმად 28 თებერვლისთვის შესრულებულ სამუშაოებზე ანაზღაურებას ექვემდებარება: | 360 000.00 | (სამას სამოცი ათასი) ლარი |
| მათ შორის: | | |
| დ.ღ.გ. 18% | 54 915.25 | (ორმოცდათოთხმეტი ათას ცხრაას თხუთმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) |

| | |
|---|---|
| სამუშაოები ჩააბარა | სამუშაოები მიიღო |
| მიმწოდებელი | შემსყიდველი |
| შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ "ტრანსპროექტის" გენერალური დირექტორი | საქ. საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი |
| ტ. ტალიაშვილი | ო. ხატიაშვილი |

ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ
შ.რ. საპ. №2-12

# საბოლოო ანგარიშის მიღება-ჩაბარების

# ა ქ ტ ი № 77 - 3

შედგენილია 24.06.2013წ.
ქ. თბილისი

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

ერთის მხრივ, მიმწოდებლის წარმომადგენელი შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ „ტრანსპროექტის" გენერალური დირექტორი ტ. ტალიაშვილი და მეორეს მხრივ, შემსყიდველის წარმომადგენელი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი ო. ხატიაშვილი ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს და ტექნიკური დავალების ნორმატიულ დოკუმენტებს.

საპროექტო პროდუქციის შემადგენლობა:

- საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვერსია - სახელშეკრულებო თანხის 30%.

| | | |
|---|---|---|
| ხელშეკრულების თანახმად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს: | 660 000.00 | (ექვსას სამოცი ათასი) ლარი |
| მათ შორის: | | |
| დ.ღ.გ. 18% | 100 677.97 | (ასი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) |
| 24 ივნისისთვის შესრულებულია საპროექტო სამუშაო: | 660 000.00 | (ექვსას სამოცი ათასი) ლარი |
| მათ შორის: | | |
| დ.ღ.გ. 18% | 100 677.97 | (ასი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) |

აღნიშნული აქტის თანახმად
24 ივნისისთვის შესრულებულ
სამუშაოებზე ანაზღაურებას
ექვემდებარება: 660 000.00 (ექვსას სამოცი ათასი) ლარი

მათ შორის:

დ.დ.გ. 18% 100 677.97 (ასი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი)

სამუშაოები ჩააბარა

მიმწოდებელი

შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ
"ტრანსპროექტის"
გენერალური დირექტორი

ტ. ტალიაშვილი

სამუშაოები მიიღო

შემსყიდველი

საქ. საავტომობილო გზების
დეპარტამენტის საავტომობილო გზების
ტექნიკური პოლიტიკის
სამმართველოს უფროსი

ო. ხატიაშვილი

ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ
შ.რ. საპ. №2-12

# საბოლოო ანგარიშის მიღება-ჩაბარების

# ა ქ ტ ი № 77 - 4

შედგენილია 24.07.2013წ.
ქ. თბილისი

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

ერთის მხრივ, მიმწოდებლის წარმომადგენელი შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ „ტრანსპროექტის" გენერალური დირექტორი ტ. ტალიაშვილი და მეორეს მხრივ, შემსყიდველის წარმომადგენელი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი ო. ხატიაშვილი ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს და ტექნიკური დავალების ნორმატიულ დოკუმენტებს.

საპროექტო პროდუქციის შემადგენლობა:

- საბოლოო ანგარიში - სახელშეკრულებო თანხის 10%.

| | | |
|---|---|---|
| ხელშეკრულების თანახმად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს: | 220 000.00 | (ორას ოცი ათასი) ლარი |
| მათ შორის: | | |
| დ.ღ.გ. 18% | 33 559.32 | (ოცდაცამეტი ათას ხუთას ორმოცდაცხრამეტი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი) |
| 24 ივლისისთვის შესრულებულია საპროექტო სამუშაო: | 220 000.00 | (ორას ოცი ათასი) ლარი |
| მათ შორის: | | |
| დ.ღ.გ. 18% | 33 559.32 | (ოცდაცამეტი ათას ხუთას ორმოცდაცხრამეტი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი) |

აღნიშნული აქტის თანახმად
24 ივლისისთვის
შესრულებულ სამუშაოებზე
ანაზღაურებას ექვემდებარება: 220 000.00 (ორას ოცი ათასი) ლარი

მათ შორის:

დ.ღ.გ. 18% 33 559.32 (ოცდაცამეტი ათას ხუთას ორმოცდაცხრამეტი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი)

სამუშაოები ჩააბარა

მიმწოდებელი

შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ
"ტრანსპროექტის"
გენერალური დირექტორი

ტ. ტალიაშვილი

სამუშაოები მიიღო

შემსყიდველი

საქ. საავტომობილო გზების
დეპარტამენტის საავტომობილო გზების
ტექნიკური პოლიტიკის
სამმართველოს უფროსი

ო. ხატიაშვილი